ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01200241873**
თარიღი: **24/01/2020**
პინი: **7915**

ადრესატი: შპს გრანდ ბილდინგ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405283269
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, სოფ. დიღომი, ლ. ანდრონიკაშვილის ქ., N 23

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/01192061231-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, არქანჯელო ლამბერტის ქუჩა N16-ში (საკ. კოდი N01.72.14.040.144) 2019 წლის 4 აპრილის N4441658 (AR1669584) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

-2.70 ნიშნულზე, ,,ბ" ღერძთან, ,,1-2" მონაკვეთში შემცირებულია მონოლითური კედლის სიგრძე. ნაწილობრივ გაზრდილია კოლონების განივი კვეთის გაბარიტი. კიბის უჯრედებთან და ლიფტებთან არ არის მოწყობილი მონოლითური კედლები. ,,1" ღერძთან, ,,ა-ბ" მონაკვეთში და ,,ი" ღერძთან, ,,3-4" მონაკვეთში გაუქმებულია ღიობები. ,,დ" -,,3" ღერძთან დამატებით მოყწობილია კოლონა. ,,$3\text{-}4^1$" - ,,ე-თ" მონაკვეთში შეცვლილია კიბის გაბარიტი, მოწყობა და კონფიგურაცია. გაზრდილია კარე კედლების სისქე. გაზრდილია სართულის სიმაღლე 20სმ-ით.

±0.00 ნიშნულზე, კიბის უჯრედში, ,,4^1-თ" ღერძთან არ არის მოწყობილი ღიობი. ,, ა" ღერძის გარეთ, ,,2-4" მონაკვეთში, გაზრდილია კიბის გაბარიტი და შეცვლილია მოწყობა, ,,3" ღერძთან არ არის მოწყობილი საყვავილე.

±0.00 ნიშნულზე და ზევით, მონოლითური კედლები არ არის ნაჩვენები განსხვავებული დაფერვით.

+3.30 ნიშნულზე, ,,ა" ღერძის გარეთ, ,,2-4" მონაკვეთში გაზრდილია აივნის ფილის გაბარიტი. ,,ბ-გ" - ,,4-3" მონაკვეთში, კიბის საფეხურების რაოდენობა ერთ მარშზე არ შეესაბამება საპროექტოს.

+6.60 ნიშნულზე, ,,ა" ღერძის გარეთ,, ,,1-4" მონაკვეთში გაზრდილი აივნის ფილის გაბარიტი და შეცვლილია ფორმა. ,,1" ღერძთან, ..ა-გ" მონაკვეთში შემცირებულია აივნის გაბარიტი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი